ხელშეკრულება №13

საქონლის შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი "13" მაისი 2022 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის « ს1 » ქვეპუნქტის და მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სსიპ ქალაქ თბილისის N10 საჯარო სკოლის მიერ გამარტივებული შესყიდვის განხორციელების გზით :

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლელა ტაბაროკიშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „გორგია" (ს/კ 245621288) (შემდგომში –«მიმწოდებელი»), წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირი ქეთევან ლომიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ხელოვნური ყვავილები (CPV 39293200) შემდგომში „საქონელი", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს ქვემოთ ჩამოთვლილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. ღირებულება

2.1. ერთეული საქონლის ღირებულება განსაზღვრულია ინვოისის შესაბამისად:

2.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 379,60 (სამასსამოცდაცხრამეტი და 60) ლარს.

3. ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ თანამედროვე სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში განახორციელოს საქონლის მიწოდებისას გამოვლენილი უხარისხო მიწოდებული საქონლის ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადები

4.1. მიმწოდებელი საქონელის მიწოდებას ახორციელებს შემდეგ მისამასართზე - თბილისი, მირცხულავას ქ.N4

4.2. საქონლის მიწოდების ვადაა - წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს მიწოდებული საქონლის მიხედვით.

5..3. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული საქონლისათვის.

5.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარებში.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8..2 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებითწარსებული თავისი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს მთელი სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს საქონლის მიწოდებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებენ შემსყიდველის წარმომადგენლი – მარიამ რატიანი

12..3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

12.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13..2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა

და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. სხვადასხვა

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ელექტრონულად.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 ივნისი.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - ქალაქ თბილისის N10 საჯარო სკოლა მის: თბილისი, ა.მირცხულავას ქ.N4 საიდენტიფიკაციო კოდი: 200007731 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი” საბანკო კოდი: BAGAGE22 ა/ა GE13BG0000000499057137 დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლელა ტაბაროკიშვილი _____ (ხელმოწერა)	შპს ,, გორგია“ ს/კ 245621288 მის: თბილისი საბანკო რეკვიზიტები: სს „ თიბისი ბანკი“ საბანკო კოდი: TBCBGE22 ა/ა GE62TB1007536020100008 ქეთევან ლომაძე _____ (ხელმოწერა)